საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-09/332

ქ. ბათუმი 26 აგვისტო, 2014 წ.

ბსუ-ს იმ სტუდენტთათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამის ვადა ამოიწურა 2013-2014 სასწავლო წლის ბოლოს და ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანისა და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე გამოიცა ბსუ–ს რექტორის 2014 წლის 08 აგვისტოს №01–09/316 ბრძანება ,,ბსუ-ს იმ სტუდენტთათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამის ვადა ამოიწურა 2013-2014 სასწავლო წლის ბოლოს და ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.“

ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვისთანავე სტუდენტს უწყდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი. გამონაკლისი შეიძლება დაშვებული იქნას აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებით დამტკიცებული ,,რსუ–ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“-ს მე-9 მუხლის მე–6 პუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამა, უწყდება სტუდენტის სტატუსი.

ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის №102 დადგენილებით, სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით სტუდენტებს, რომლებიც ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მომართავენ ბსუ–ს განცხადებით საგანმანათლებლო პროგრამის ვადის გაგრძელების თაობაზე, მიეცათ შესაძლებლობა დაარეგისტრირონ (გაიარონ აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია) და აითვისონ აკადემიური დავალიანებები 2014–2015 სასწავლო წლის განმავლობაში. ამავე დადგენილებით ასევე განისაზღვრა, რომ სტუდენტებს, რომელთა დავალიანებული კრედიტების რაოდენობა აღემატება 75-ს, შეუწყდეთ სტუდენტის სტატუსი, გამონაკლისის დაშვების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კანონშესაბამისია, შეუწყდეთ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი დანართი-1 ით განსაზღვრულ სტუდენტებს, რომელთაც აკადემიური დავალიანების სახით ერიცხებათ 75 კრედიტზე მეტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72 - 76-ე და 95 – 101 -ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებით დამტკიცებული ,,რსუ–ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“, ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის №102 დადგენილების, ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ბსუ–ს რექტორის 2014 წლის 08 აგვისტოს №01–09/316 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ–ს რექტორის 2014 წლის 08 აგვისტოს №01–09/316 ბრძანებით ბსუ–ს სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის თაობაზე აქტის გამოსაცემად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნათა შეუსრულებლობის (აკადემიური დავალიანება - 75 კრედიტზე მეტი) გამო ბსუ–ს სტუდენტის სტატუსი შეუწყდეთ დანართი-1 ით განსაზღვრულ სტუდენტებს;

2. ბრძანება ეცნობოთ დაინტერესებულ პირებს – სტუდენტებს ***დანართი 1***–ის შესაბამისად, რისი უზრუნველყოფა დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატსა და კანცელარიას. ბრძანება ასევე განთავსდეს ბსუ-ს ვებ-გვერდზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52);

4. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე;

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**

დანართი 1

დამტკიცებულია

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის რექტორი 2014 წლის 26

აგვისტოს №01-09/332 ბრძანებით

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

სწავლების დონე: ბაკალავრიატი
სპეციალობა: ეკოლოგია

№	გვარი, სახელი	პირადი/№	დაბადების თარიღი	ჩარიცხვის ბრძანების № და თარიღი	დარჩენილი კრედიტების რაოდენობა	შენიშვნა
1	პატარაია ნანა		08.11.1991	ბრძ.3-404 20.09.2010	89	

ტექნოლოგიური ფაკულტეტი

№	სპეციალობა	დამატებითი სპეციალობა	საფეხური	გვარი, სახელი	პირადი/№	კრედიტები
1	მშენებლობა	სამთო და გეოინჟინერია	საბაკალავრო	მორჩილაძე გიორგი		85
2	მშენებლობა	ტელეკომუნიკაცია	საბაკალავრო	სურმანიძე მინდია		78

ტურიზმის ფაკულტეტი

სწავლების დონე: **ბაკალავრიატი**
სპეციალობა: **ტურიზმი**

№	გვარი, სახელი	პირადი/№	კრედიტი	შენიშვნა
1.	ბერიძე მარიამ		90	
2.	გაბაიძე მარიამ		136	

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

№	სპეციალობა	საფ	გვარი სახელი	პირადობის №	კრ.
1	ფინანსები	B	ფაცურია ქეთი		80
2	სამართალმცოდნეობა	B	ჭანუყვაძე მიხეილ		88
3	სამართალმცოდნეობა	B	რამიშვილი მარიამ		178
4	სამართალმცოდნეობა	B	სოლომონიძე სოფიკო		93
5	სამართალმცოდნეობა	B	ძიმისტარიშვილი ხატია		78
6	სამართალმცოდნეობა	B	ჯერენ ჯებეჯი		103
7	სამართალმცოდნეობა	B	ამაღლობელი თეონა		91
8	სამართალმცოდნეობა	B	სალუქვაძე სალომე		209
9	სამართალმცოდნეობა	B	შარაძე ირაკლი		187
10	სამართალმცოდნეობა	B	შოთაძე გიორგი		109

11	ფსიქოლოგია	B	აბულაძე თათია		120
12	საბუღალტრო და საგადასახადო საქმე	B	თურმანიძე თორნიკე		85
13	საბუღალტრო და საგადასახადო საქმე	B	მახარაძე მინდია		80
14	მენეჯმენტი	B	ბერიძე ნინო		110

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სპეციალობა: **ინგლისური ფილოლოგია**

1	დოლიძე ქეთევან		87 კრედიტი
2	მახარაძე სალომე		118 კრედიტი

სპეციალობა: **რუსული ფილოლოგია**

№	**გვარი, სახელი**	**პირადი/№**	**დარჩენილი კრედიტები**
1	ავჯი ჰალიმ		185კრ
2	შაჰინ მაჰმუთ ერდენერ		130კრ